საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
ოქტომბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 19,002.5 მლნ ლარი	105.9% 9 თვის გეგმის	77.3% წლიური გეგმის
გადასახდელები - 18,248.1 მლნ ლარი	99.2% 9 თვის გეგმის	72.9% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 754.4 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,995.6 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -746.5 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 19,002.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 77.3%-ს და 9 თვის გეგმის[1] (17,946.1 მლნ ლარი) 105.9%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,550.6 მლნ ლარით (15.5%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 9 თვეში **გადასახდელების** შესრულება 18,248.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 72.9%-ს და 9 თვის გეგმის (18,401.7 მლნ ლარი) 99.2%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 9 თვის მაჩვენებელს 2,479.0 მლნ ლარით (15.7%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, ყველა კომპონენტი, გარდა ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობებისა (99.6%), გადაჭარბებით ხასიათდება: შემოსავლები - 105.0%, ვალდებულებების ზრდა - 110.2%, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები კი მნიშვნელოვანი (63.7%-იანი) დადებითი გადახრით გამოირჩევა.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, 9 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს ხარჯებს (98.0%), არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები (შესაბამისად, 7.8%-იანი და 14.4%-იანი) გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (90.5%).





[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 18 სექტემბრის №305 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 9 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 754.4 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 ოქტომბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,331.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 9 თვეში 1,995.6 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -746.5 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების შესრულებამ იანვარ-სექტემბერში 14,883.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 105.3%-ს და წლიური გეგმის 77.9%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი, გარდა იმპორტის გადასახადისა (94.6%), გადაჭარბებით ხასიათდება (განსაკუთრებით მოგების გადასახადი) და 103.8%-111.6%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა გადასახადს, 9 თვეში დაიგეგმა -43.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი -88.7 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წელთან შედარებით გადასახადები გაზრდილია 2,519.0 მლნ ლარით (20.4%-ით), ძირითადად, დღგ-ის, საშემოსავლო და მოგებისა გადასახადების, შესაბამისად, 12.1%-იანი, 18.3%-იანი და 57.3%-იანი მატების გავლენით.



ხარჯების შესრულებამ 9 თვეში 14,217.7 მლნ ლარი შეადგინა, 9 თვის გეგმის 98.0% და წლიური გეგმის 74.4%. 9 თვის გეგმასთან მიმართებით, გადაჭარბებით გამოირჩევა სუბსიდიებისა (103.0%) და სოციალური უზრუნველყოფის (102.0%) მუხლები. კარგი შესრულებით ხასიათდება სხვა ხარჯები (95.5%), პროცენტისა (96.1%) და შრომის ანაზღაურების (95.5%) ხარჯები. შედარებით დაბალი მაჩვენებელები აქვს საქონლისა და მომსახურებისა (94.2%) და გრანტების (91.9%) მუხლებს. წინა წელთან შედარებით ხარჯები 2,116.8 მლნ ლარით (17.5%-ით) გაზრდილია, ხარჯების ყველა მუხლის მატების გავლენით (მ.შ.სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 665.9 მლნ ლარით).



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 9 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა*	2024 წლის 9 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**16,451.9**	**24,569.5**	**17,946.1**	**19,002.5**	**105.9%**	**77.3%**
შემოსავლები	**13,732.5**	**20,731.0**	**15,443.2**	**16,213.4**	**105.0%**	**78.2%**
გადასახადები	12,364.4	19,115.0	14,127.7	14,883.4	105.3%	77.9%
საშემოსავლო გადასახადი	4,178.5	6,345.1	4,758.0	4,942.1	103.9%	77.9%
მოგების გადასახადი	1,588.2	2,690.0	2,239.6	2,498.9	111.6%	92.9%
დღგ	4,984.4	7,388.3	5,384.1	5,586.6	103.8%	75.6%
აქციზი	1,602.8	2,375.0	1,678.0	1,839.4	109.6%	77.4%
იმპორტის გადასახადი	114.1	150.0	111.0	105.1	94.6%	70.0%
სხვა გადასახადები	-103.6	166.6	-43.0	-88.7	206.3%	-53.2%
გრანტები	240.7	266.0	177.1	243.3	137.4%	91.5%
სხვა შემოსავლები	1,127.4	1,350.0	1,138.4	1,086.7	95.5%	80.5%
არაფინანსური აქტივების კლება	**102.7**	**200.0**	**111.0**	**181.7**	**163.7%**	**90.9%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**219.4**	**300.0**	**270.0**	**268.9**	**99.6%**	**89.6%**
ვალდებულებების ზრდა	**2,397.4**	**3,338.5**	**2,121.9**	**2,338.5**	**110.2%**	**70.0%**
საგარეო	1,405.5	1,838.5	1,064.9	1,316.1	123.6%	71.6%
საშინაო	991.9	1,500.0	1,057.0	1,022.4	96.7%	68.2%
გადასახდელები	**15,769.1**	**25,030.4**	**18,401.7**	**18,248.1**	**99.2%**	**72.9%**
ხარჯები	**12,100.9**	**19,120.9**	**14,507.3**	**14,217.7**	**98.0%**	**74.4%**
შრომის ანაზღაურება	1,561.0	2,577.3	1,931.2	1,844.2	95.5%	71.6%
საქონელი და მომსახურება	1,497.9	2,232.0	1,708.1	1,609.0	94.2%	72.1%
პროცენტი	904.7	1,540.0	1,238.6	1,190.8	96.1%	77.3%
სუბსიდიები	660.7	1,044.9	740.0	762.6	103.0%	73.0%
გრანტები	836.0	1,513.0	1,206.0	1,108.1	91.9%	73.2%
სოციალური უზრუნველყოფა	5,075.0	7,470.4	5,629.6	5,740.9	102.0%	76.8%
სხვა ხარჯები	1,565.6	2,743.2	2,053.8	1,962.1	95.5%	71.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2,641.8**	**4,180.6**	**2,713.4**	**2,923.9**	**107.8%**	**69.9%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**209.2**	**305.6**	**158.6**	**181.5**	**114.4%**	**59.4%**
ვალდებულებების კლება	**817.2**	**1,423.4**	**1,022.4**	**925.0**	**90.5%**	**65.0%**
საგარეო	782.5	1,380.6	987.6	890.3	90.1%	64.5%
საშინაო	34.6	42.7	34.7	34.7	99.9%	81.2%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**682.8**	**-460.9**	**-455.6**	**754.4**		

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №305)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 9 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 9 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**13,732.5**	**20,731.0**	**15,443.2**	**16,213.4**	**105.0%**	**78.2%**
გადასახადები	12,364.4	19,115.0	14,127.7	14,883.4	105.3%	77.9%
გრანტები	240.7	266.0	177.1	243.3	137.4%	91.5%
სხვა შემოსავლები	1,127.4	1,350.0	1,138.4	1,086.7	95.5%	80.5%
ხარჯები	**12,100.9**	**19,120.9**	**14,507.3**	**14,217.7**	**98.0%**	**74.4%**
შრომის ანაზღაურება	1,561.0	2,577.3	1,931.2	1,844.2	95.5%	71.6%
საქონელი და მომსახურება	1,497.9	2,232.0	1,708.1	1,609.0	94.2%	72.1%
პროცენტი	904.7	1,540.0	1,238.6	1,190.8	96.1%	77.3%
სუბსიდიები	660.7	1,044.9	740.0	762.6	103.0%	73.0%
გრანტები	836.0	1,513.0	1,206.0	1,108.1	91.9%	73.2%
სოციალური უზრუნველყოფა	5,075.0	7,470.4	5,629.6	5,740.9	102.0%	76.8%
სხვა ხარჯები	1,565.6	2,743.2	2,053.8	1,962.1	95.5%	71.5%
საოპერაციო სალდო	**1,631.6**	**1,610.1**	**935.9**	**1,995.6**	**213.2%**	**123.9%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2,539.2**	**3,980.6**	**2,602.4**	**2,742.2**	**105.4%**	**68.9%**
ზრდა	2,641.8	4,180.6	2,713.4	2,923.9	107.8%	69.9%
კლება	102.7	200.0	111.0	181.7	163.7%	90.9%
მთლიანი სალდო	**-907.6**	**-2,370.5**	**-1,666.5**	**-746.5**	**44.8%**	**31.5%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**672.7**	**-455.4**	**-567.0**	**667.0**	**-117.6%**	**-146.5%**
ზრდა	**892.0**	**305.6**	**158.6**	**935.9**	**590.0%**	**306.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	682.8	0.0	0.0	754.4		
სესხები	208.1	305.6	158.6	180.3	113.7%	59.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
კლება	**219.4**	**760.9**	**725.6**	**268.9**	**37.1%**	**35.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	455.6	0.0	0.0%	0.0%
სესხები	217.8	300.0	270.0	268.9	99.6%	89.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.6	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**1,580.2**	**1,915.1**	**1,099.5**	**1,413.5**	**128.6%**	**73.8%**
ზრდა	**2,397.4**	**3,338.5**	**2,121.9**	**2,338.5**	**110.2%**	**70.0%**
საშინაო	991.9	1,500.0	1,057.0	1,022.4	96.7%	68.2%
საგარეო	1,405.5	1,838.5	1,064.9	1,316.1	123.6%	71.6%
კლება	**817.2**	**1,423.4**	**1,022.4**	**925.0**	**90.5%**	**65.0%**
საშინაო	34.6	42.7	34.7	34.7	99.9%	81.2%
საგარეო	782.5	1,380.6	987.6	890.3	90.1%	64.5%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი